ა ნ გ ა რ ი შ ი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

2019 წლის იანვრიდან - დეკემბრის ჩათვლით

2019 წლის იანვრიდან - დეკემბრის ჩათვლით ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში:

ძირითადი აქტივობები

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა 2019 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა გაზარდა 4-ით და დღეისათვის განხორციელების უფლება მოპოვებული აქვს 12 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელთაგან 8 პროგრამა ხორციელდება დუალურად, 2 პროგრამა მოდულურად, ხოლო 2 პროგრამის საფუძველზე შექმნილია მოკლევადიანი მომზადების პროგრამები.

კოლეჯის განსახორციელებელი საკვალიფიკაციო პროგრამებია:

1. რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა; (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია) - ხორციელდება დუალური მიდგომით;
2. რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი; (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია) - ხორციელდება დუალური მიდგომით;
3. რკინიგზის ელექტრო მომარაგების მეურნეობა; (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- ხორციელდება დუალური მიდგომით;
4. რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა; (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- ხორციელდება დუალური მიდგომით;
5. სარკინიგზო გადაზიდვები; (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- ხორციელდება დუალური მიდგომით;
6. რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება; (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- ხორციელდება დუალური მიდგომით;
7. სავაგონო მეურნეობა; (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- ხორციელდება დუალური მიდგომით;
8. ლოკომოტივის მართვა; (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- ხორციელდება დუალური მიდგომით;
9. სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა; (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- ხორციელდება მოდულურად;
10. მეჩარხე; (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია)- ხორციელდება მოდულურად;
11. საოფისე საქმე; (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია) –2020 წლიდან განხორციელდება პროგრამის საფუძველზე შექმნილი მოკლევადიანი მომზადების პროგრამა;

12. ბუღალტრული აღრიცხვა; (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია) 2020 წლიდან განხორციელდება პროგრამის საფუძველზე შექმნილი მოკლევადიანი მომზადების პროგრამა.

ამ ეტაპზე ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის სტატუსი მინიჭებული აქვს და საგანმანათლებლო პროცესში ჩართულია 320 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 280 კაცი და 40 ქალი.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სქესი (კაცი/ქალი)	პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
1	რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა	7	35
2	რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი	0	25
3	რკინიგზის ელექტრო მომარაგების მეურნეობა	3	24
4	რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა	0	28
5	სარკინიგზო გადაზიდვები	11	46
6	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება	0	24
7	სავაგონო მეურნეობა	15	34
8	ლოკომოტივის მართვა	0	35
9	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა	4	23
10	მეჩარხე	0	6
		40	280
	სულ ჯამი:	320	

2019 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების საფუძველზე, ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მოპოვებულ იქნა შემდეგი მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელების უფლება:

1. ტექნიკური ნახაზების მხაზველი; (პროფესიული მომზადება)
2. მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე; (პროფესიული გადამზადება)
3. საოფისე საქმის წარმოება; (პროფესიული მომზადება)
4. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის; (პროფესიული მომზადება).

ოთხივე მოკლევადიან პროგრამაზე ჯგუფების დაკომპლექტება და სწავლების განხორციელება მოხდება 2020 წლის პირველი კვარტლიდან, მათ შორის პირველ ორ პროგრამას დააფინანსებს სს „საქართველოს რკინიგზა“, ხოლო ბოლო 2 პროგრამაზე მოპოვებულია სახელმწიფო დაფინანსება.

კოლეჯი 2020 წელს კვლავ გეგმავს გააფართოვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების ჩამონათვალი, რომლისთვისაც დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები.

2019 წლის განმავლობაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში განხორციელდა შემდეგი ძირითადი აქტივობები:

- ✓ სს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენლებთან შეთანხმებით დუალური სწავლების ეფექტურად განხორციელებისათვის შემუშავებულ იქნა პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე გამოცხადების გრაფიკები პრაქტიკის ობიექტების მიხედვით და შედგენილ იქნა პროფესიულ სტუდენტებზე მიმაგრებული ინსტრუქტორების სავარაუდო სია;
- ✓ კოლეჯმა მოამზადა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, ,,საოფისე საქმე“ და ,,ბუღალტრული აღრიცხვა“, და წარადგინა განაცხადი დამტკიცების მიზნით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;
- ✓ კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო უმაღლესი განათლების მე-9 საერთაშორისო გამოფენაში, რომელიც გაიმართა ექსპო ჯორჯიაში. გამოფენის ფარგლებში, პროფესიული განათლებით დაინტერესებულმა პირებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია კოლეჯის, მისი საქმიანობის, არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, განხორციელებული პროექტების, დასაქმებისა და მომავალი კარიერული ზრდის შესაძლებლობების შესახებ;
- ✓ კოლეჯი ჩაერთო ამერიკული ორგანიზაციის „World link”-ის მიერ ორგანიზებულ პროექტში „გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა ტექნიკურ და პროფესიულ გაცვლით პროგრამაში,“ რომლის ფარგლებშიც კოლეჯისთვის გამოყოფილ იქნა 500$ ოდენობის თანხა, რომლის დახმარებითაც კოლეჯი ახორციელებს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და, ამ საკითხთან დაკავშირებით, ქალებში ცნობიერების ამაღლებას. არსებული პროექტის ფარგლებში, კოლეჯში ქალი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გაიზარდა 1 დან 20 გოგონამდე;
- ✓ კოლეჯის ბიბლიოთეკისთვის შეძენილი და საჩუქრად მიღებული იქნა ახალი წიგნები, რომლებიც აღირიცხა და გატარდა საინვენტარო ჟურნალში;
- ✓ კოლეჯი ჩართული იყო სხვადასხვა საზოგადოებრივ და სოციალურ აქტივობაში, კერძოდ, კოლეჯი შეუერთდა დაუნის სინდრომისა და დედამიწის მსოფლიო დღეებს, შიდსის საწინააღმდეგო კამპანიას, განახორციელა საქველმოქმედო აქცია შეჭირვებული ოჯახების დასახმარებლად, ჩაერთო სისხლის დონაციის აქციაში, ჩატარდა წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაცია, თვალის უფასო დიაგნოსტიკა პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და თანამშრომლებისთვის და ა.შ.

- ✓ 22 მარტს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით კოლეჯმა მოიპოვა სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, ,,საოფისე საქმე“ და ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ მოდულურად განხორციელების უფლება;
- ✓ პროფესიულ სტუდენტთა საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებასთან დაკავშირებით კოლეჯში გაიმართა ღია კარის დღეები და საინფორმაციო შეხვედრები. კოლეჯში სწავლებით დაინტერესებულმა პირებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, დუალური სწავლების მეთოდოლოგიის და სამომავლოდ გარანტირებული დასაქმების შესახებ. ისინი უშუალოდ შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელებს, სს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენლებს და დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა;
- ✓ კოლეჯის წარმომადგენლებმა ჩაატარეს რეკრუტირება ქ.თბილისის 10-ზე მეტ საჯარო სკოლაში, სადაც მსმენელებს მიაწოდეს ინფორმაცია როგორც კოლეჯის, ასევე სარკინიგზო ინდუსტრიის მნიშვნელოვნების, პროფესიული განათლების როლისა და მისი უპირატესობების შესახებ;
- ✓ კოლეჯმა დაიწყო თანამშრომლობა სს ,,საქართველოს რკინიგზასთან“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 23 ოქტომბრის „მატარებლის მძღოლთა სერტიფიცირების შესახებ, რომლებიც მართავენ ლოკომოტივებსა და მატარებლებს „თანამეგობრობის რკინიგზის სისტემაში“ 2007/59/EC დირექტივის შესაბამისად სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ლოკომოტივის მართვის პროგრამის „რკინიგზის ოპერირების“ ჩარჩო-დოკუმენტში ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლის მიზანია მისი ზემოაღნიშნულ დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ✓ 22 მაისს კოლეჯმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზასთან; შპს ,,მარაბდა-კარწახის რკინიგზისა“ და ადგილობრივი ხელისუფლების მიწვევით კოლეჯის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ახალქალაქში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებს ჩაუტარეს პრეზენტაცია კოლეჯის საქმიანობის შესახებ და დაურიგეს კოლეჯის საქმიანობის შესახებ სხვადასხვა საინფორმაციო მასალა;
- ✓ კოლეჯში განხორციელდა შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის კვალიფიციური პროგრამისტის ჩართულობით სპეციალური საგამოცდო პროგრამის შემუშავება და დანერგვა, პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ტესტების მომზადების კოორდინირება კომპიუტერულ საგამოცდო პროგრამაში ჩასატვირთად;
- ✓ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, მიუნხენისა და ზემო ბავარიის სამრეწველო პალატის ხელშეწყობით Deutsche bahn-ის ტრენინგ ცენტრის მიერ გადამზადდა სს „საქართველოს რკინიგზის“ 46 თანამშრომელი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მენტორ-ინსტრუქტორებად.
- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯსა და საქართველოს თავდაცვის აკადემიას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სახის ერთობილივი სასწავლო და შემეცნებითი ღონისძიების განხორციელება;

- ✓ კოლეჯის წარმომადგენლები და პროფესიული სტუდენტები აქტიურად ჩაერთვნენ 15-16 ივნისს გამართულ ღონისძიებაში „ქართულ-გერმანული პროფესიული განათლების დღეები“;
- ✓ 20 ივნისს კოლეჯმა გააფორმა მემორანდუმი ა(ა)იპ საქართველოს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ასოციაციასთან, რომელთანაც გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდება სს „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლების და ინსტრუქტორების გადამზადება უსაფრთხოების სხვადასხვა მოდულში;
- ✓ სს „საქართველოს რკინიგზისა“ და სხვა ინდუსტრიების მაღალი დაინტერესების გათვალისწინებით, რომლებსაც აქვთ მზარდი მოთხოვნა სახარატო, საფრეზი და სახეხი ლითონდამამუშავებელი ჯგუფის ჩარხებზე მუშაობის კომპეტენციის მქონე პირების დასაქმებაზე, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა ლითონის დამუშავება/Mechanics and Metal Trades სარეგისტრაციო ნომერი 07314-3 ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე მოამზადა საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეჩარხე“, რომლის სახელოსნოს აღჭურვისა და რემონტისთვის დაფინანსება განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ.
- ✓ კოლეჯსა და BTEC-ის წარმომადგენლებთან შედგა კომუნიკაცია, კვალიფიკაციების საერთაშორისო აღიარებასთან დაკავშირებით. შეირჩა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,რკინიგზის ელექტრო-მომარაგების მეურნეობა“, რომლის საფუძველზეც განახლდება შემდგომი თანამშრომლობა და სამუშაოები აღნიშნული პროგრამის კვალიფიკაციის საერთაშორისოდ აღიარებისთვის;
- ✓ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დახმარებით კოლეჯში დაიწყო პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადება, რომლის ფარგლებშიც კოლეჯის 25-მა პროფესიულმა მასწავლებელმა გაიარა სამი მოდული: ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“, ,,პოზიტიური სასწავლო გარემო“ და ,,სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სწავლების ეფექტური სტრატეგიების შემუშავება“.
- ✓ სარკინიგზო გადაზიდვების 15 ასევე რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობისა და რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგის პროგრამების 19 განმახორციელებლის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „პროფესიული მასწავლებლების ტრენინგი პროგრამის დუალური მეთოდით სწავლებისთვის“;
- ✓ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და კოლეჯის თანამშრომლების აქტივობების სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასების მიზნით კოლეჯში დაინერგა შეფასების სისტემა KPI;
- ✓ 2019 წლის შემოდგომიდან კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,სარკინიგზო გადაზიდვები“ ემზადება ინტეგრირებული სწავლების განხორციელებისთვის. მოახდინა პროგრამის მოდიფიცირება და თვითშეფასების მომზადება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ავტორიზაციით უფლების მოპოვების მიზნით წარსადგენად და პრაქტიკული სწავლების ლაბორატორიების მოწყობისა და მინიმალური სავალდებულო აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის სამინისტროსგან მიღებული მიზნობრივი დაფინანსების 24,442 ლარის ფარგლებში დაიწყო შესყიდვების განხორციელება.

- ✓ ზოგადი განათლების ინტეგრირების საპილოტე პროგრამის ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვები" ხუთი მოდულის: მათემატიკური წიგნიერება, კომუნიკაცია ქართულ ენაზე, მეცნიერება და ტექნოლოგიები, მეწარმეობა და მოქალაქეობა, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის მიზნით კონკურსის საფუძველზე შერჩეულ იქნა სათანადო კანდიდატები, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე გაივლიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგის სპეციალურ კურსს;
- ✓ სს ,,საქართველოს რკინიგზის" დარგის სპეციალისტების და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის წარმომადგენლების ერთობლივი მონაწილეობით განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ლოკომოტივის მართვა" რევიზია და ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს №2007/59/EC დირექტივის სამივე დანართთან (IV, V და VI დანართები) კონცენტრაცია ლოკომოტივის მართვის მოდულების დადარება და ევროდირექტივის დანართებში გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად ასახვის მიზნით კონცენტრაციის ორი მოდულის ,,ლოკომოტივისა და ძრავვაგონიანი შემადგენლობის მართვა" და ,,ლოკომოტივისა და ძრავვაგონიანი შემადგენლობის შემოწმება/ნაწილობრივ შეკეთება" თემატიკებში გამოვლინდა ევროდირექტივის დანართებიდან გარკვეული მოთხოვნების დამატების საჭიროება. აღნიშული არ წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების საფუძველს, რადგან ევროდირექტივის თანახმად, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა განხორციელდა მხოლოდ ზემოაღნიშნული მოდულების დამხმარე ჩანაწერების ნაწილში არსებულ თემატიკებში.
- ✓ 2019 წლის ოქტომბრიდან 97 პროფესიულ სტუდენტს, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს შუალედური განმავითარებელი გამოცდა და გადავიდნენ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე, გაუფორმდათ სს „საქართველოს რკინიგზასთან" შრომითი ხელშეკრულებები. აღნიშნულ ეტაპზე გათვალისწინებულია ერთ სს „საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოყოფილ ინსტრუქტორზე არაუმეტეს სამი პროფესიული სტუდენტის მიმაგრება და ამასთან, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ არარკინიგზელ პროფესიულ სტუდენტებს სს „საქართველოს რკინიგზის" მიერ მიეცეთ ყოველთვიური ფინანსური ანაზღაურება არსებული საშუალო თანამდებობრივი სარგოს 1/3-ის ოდენობით. სს „საქართველოს რკინიგზაზე" დასაქმებული პროფესიული სტუდენტები სს ,,საქართველოს რკინიგზისა" და კოლეჯის ადმინისტრაციასთან წინასწარ შეთანხმებული სასწავლო ცხრილების მიხედვით თავისუფლდებიან სამუშაოდან არსებული საშტატო ანაზღაურების შენარჩუნებით. დამატებით პროფესიული სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულები არიან სს „საქართველოს რკინიგზაზე" ან ცხოვრობენ სხვადასხვა რეგიონში, მათ კომპანია სამუალებას აძლევს, რომ პრაქტიკული სწავლების კომპონენტი გაიარონ მათივე დასაქმების ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ჩატარდა ტრენინგი ფორმალური განათლების აღიარების მიმართულებით. შეხვედრის დროს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ინფორმაცია აღიარების პროცესის მნიშვნელობის, ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის და დაგეგმილი სიახლეების შესახებ. შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა ფორმალური განათლების აღიარების პროცესში უშუალოდ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობის როლი და მნიშვნელობა. დასკვნით ეტაპზე კი სს „საქართველოს რკინიგზის“ სავაგონო დეპარტამენტის დარგის სპეციალისტების ჩართულობით განხორციელდა სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის ჩარჩო დოკუმენტში შემავალი კონცენტრაცია ,,სავაგონო მეურნეობის“ მოდულების რევიზია და ამ მიმართულებით ფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობების განხილვა;
- ✓ 29 ოქტომბერს სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის პროექტის "Skill4Jobs" მეორე ფაზის გახსნის ღონისძიებაში, რომლის ფარგლებშიც გაიმართა გამოფენა, სადაც კოლეჯმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ინფორმაცია კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, დუალური სწავლების ეტაპებისა და სწავლის დასრულების შემდგომ გარანტირებული დასაქმების გარანტიების შესახებ.
- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული განათლების 15 მასწავლებელს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ჩაუტარდა ტრენინგი: ,,მეწარმეობა პროფესიულ განათლებაში“.
- ✓ 2019 წლის 1 დეკემბრიდან - 27 დეკემბრის ჩათვლით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის №103 ბრძანების საფუძველზე აქტიურად მიმდინარეობდა სასაქონლო მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი აქტივების ფაქტობრივი შემოწმება, აღწერა და ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა თუ ვალდებულებების ინვენტარიზაცია;
- ✓ 13 დეკემბერს კოლეჯს ესტუმრა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, რომელმაც მოინახულა სამინისტროს დაფინანსებით მოწყობილი და აღჭურვილი ,,მეჩარხის“ ახალი სახელოსნო, რომლის მოსაწყობად გამოყოფილი ასიგნებები შეადგენს 256.000 ლარს. მან აგრეთვე დაათვალიერა კოლეჯში არსებული სიმულატორები და სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გადმოცემული აღჭურვილობა, გაეცნო ინფორმაციას კოლეჯში არსებული სასწავლო გარემოსა თუ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
- ✓ პროექტის "მასწავლებელთა ხარისხის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გაერთიანებული სამეფოს „კარგი მმართველობის ფონდის“ მხარდაჭერით (GGF) განხორციელდა საინფორმაციო სისტემის (evet.emis.ge) ელექტრონულ ბაზაში პროფესიულ მასწავლებელთა შესახებ შემუშავებული ინსტრუქციის შესაბამისად დამატებითი ველების შევსება;

- ✓ კოლეჯის მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების შექმნის წესის შესაბამისად 2019 წლის მანძილზე სისტემატიურად ხორციელდებოდა სააუდიტორო მეცადინეობებზე დასწრება, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა, მათი კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევა. აღნიშნულის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება და კონკრეტული პრობლემების აღმოფხვრა შესაბამისი სამსახურების ჩართულობით. მაგალითად, სასწავლო მიზნებისთვის მასალებისა და ხელსაწყოების გადაცემა, სახელმძღვანელოების ბეჭდვა, მოდულების სარეკომენდაციო ნაწილებში ცვლილებების განხორციელება და ა.შ.
- ✓ წლის განმავლობაში ხორციელდებოდა პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციისა თუ სასწავლო პროცესში მათი ინტენსიური ჩართვის მიმართულებით. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, არასაპატიო გაცდენების შედეგად კოლეჯის შიდა რეგულაციით გათვალისწინებული ზღვარის დარღვევის გამო (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მე-3 და მე-4 მუხლები) სტატუსი შეუჩერდა 21 პროფესიულ სტუდენტს, სტატუსი შეუწყდა 47 პროფესიულ სტუდენტს და გაფრთხილება მიეცა 26 პროფესიულ სტუდენტს.
- ✓ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ იქნა ყველაზე წარმატებული 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი და 13 პროფესიულ სტუდენტი, რომლებსაც გადაეცათ მადლობის სიგელები.
- ✓ კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის ჯგუფის მიერ სისტემატიურად მიმდინარეობდა პრაქტიკული სწავლების კომპონენტზე გადასული პროფესიული სტუდენტების დასწრებისა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგი. განხორციელდა შეხვედრები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გამოყოფილ პრაქტიკის ინსტრუქტორებთან;
- ✓ 2019 წლის საგაზაფხულო მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის მოძიებულ იქნა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ობიექტები მათი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის გათვალისწინებით, კოორდინაცია გაუკეთდა პრაქტიკული სწავლების კომპონენტზე გადასული პროფესიულ სტუდენტებსა და სს „საქართველოს რკინიგზას“ შორის სამმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმების პროცესს;
- ✓ 2019 წლის განმავლობაში საწარმოო პრაქტიკის მენეჯმენტის მიერ განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ობიექტების ადგილზე გასვლით მონიტორინგი, კერძოდ შემოწმდა: 21 ობიექტი თბილისში, 7 ობიექტი ხაშურში, 2 ობიექტი სამტრედიაში და თითო-თითო ობიექტი კასპში, გორში, მარნეულში, ბორჯომსა და რუსთავში. პროფესიულ სტუდენტთა საწარმოში მიღწეული სწავლის შედეგების დასადასტურებლად შეგროვდა და დახარისხდა მტკიცებულებები.

ზოგადი ინფორმაცია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- საშტატო განრიგით დამტკიცებული თანამშრომელი: 25 ერთეული
- აკადემიური პერსონალი: 96 ერთეული
- შტატგარეშე თანამშრომელი: 3 ერთეული

მატერიალურ ტექნიკური ბაზა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან 2016 წლის 12 თებერვალს გაფორმებული უზურფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის გადაცემულ (ქ. თბილისი, თემქის დასახლება მე-11 მიკრო რაიონი, მე-3 კვარტალი) შენობაში, აგვისტო - ოქტომბრის თვეებში, განხორციელდა პირველ სართულის მარცხენა ფლიგელზე არსებული ფართის სარემონტო სამუშაოები, კოლეჯის საზეინკლოს პრაქტიკული სწავლების სახელოსნოების მოსაწყობად. სამუშაოები განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით გამარჯვებული კომპანიის მიერ, ხოლო მიღება მოხდა დამოუკიდებელი ტექნიკური ზედამხედველისა და ლ. სამხარაულის სახ. სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დადებითი ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე. სამუშაოები დაფინანსდა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სს „საქართველოს რკინიგზა“-ს მიერ კოლეჯის შენობის სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხებიდან მიღებული ეკონომიის საფუძველზე (70,820.00 ლარი დღგ-ს ჩათვლით), რაც შეთანხმებული იქნა კოლეჯის დამფუძნებლებთან.

აღნიშნული ფართში, ნოემბრის თვეში, საზეინკლოს პრაქტიკული სწავლების სახელოსნოების მოსაწყობად მიმწოდებლის მიერ შემოტანილი შემდეგი ჩარხები სრული კომპლექტაციით:

1.კბილსატეხი ჩარხი (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით) - 1 ცალი
2. კონსოლური ლენტურხერხიანი ჩარხი - (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით) - 1 ცალი
3. ორქარგოლიანი სალესი ჩარხი (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით) - 1 ცალი
4. უნივერსალური საფრეზი ჩარხი (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით) - 1 ცალი
5. უნივერსალური სახარატო ჩარხი (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით) - 1 ცალი
6. სარანდი ჩარხი (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით) - 1 ცალი
7. ბრტყლად-სახეხი ჩარხი (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით) - 1 ცალი

მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად (კომისიური მიღების წესით), წარმატებით განხორციელდა ჩარხების ტესტირება.
სახელოსნოს აღჭურვის ვალდებულება კოლეჯმა პროგრამული მიზნობრივი დაფინანსებით (255,170.00 ლარი).

შესყიდვები

კოლეჯის მიერ, 2019 წელს შესყიდვების გეგმისა და დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, დადგენილი წესების შესაბამისად განხორციელდა შემდეგი სახელმწიფო შესყიდვები და გაფორმდა ხელშეკრულებები:

ხელშეკრულების საგანი	მიმწოდებელი	ს/ნ	ხელშეკ. ნომერი	ხელშეკ. გაფორმ. თარიღი	თანხა ლარი დღგ-ს ჩათვლით
WWW გვერდის ჰოსტინგის შესყიდვა	შპს ,,იუ ლუქი''	404400698	27/12/8	27.12.2018	84
ობიექტის დაცვა	შპს საკუთრების დაცვის სამმართველო 1	212783353	31	28.12.2018	32264
ინტერნეტ მომსახურება	შპს მაგთიკომ	204876606	28/12/8	28.12.2018	4800
გათბობის სისტემის ტექნიკური მომსახურება.	შპს უნივერსალ პლიუსი	400128223	31/12/8	31.12.2018	750
უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა გამოფენაში მონაწილეობის მიზნით	შპს გამოფენების ცენტრი	201990104	43514	18.02.2019	745
ბეჭდვითი მომსახურება	შპს ქეი ივენთი	405234036	22/2/9	22.-02.2019	850
საპროექტო მომსახურება	შპს არქსტუდიო ვ	400093206	32	16-03-19	2400
ნათურების შესყიდვა	შპს ბი ემ სი გორგია	245621288	02/05/9	27-05-19	234

მიმდინარე რემონტის პროექტის ექსპერტიზა	შპს რეალექსპერტი	404470434	01/05/9	28-05-19	1861.96
სამეურნეო საქონელი და ბაინდერების შესყიდვა	შპს ოფის მიქსი	401951456	03/05/10	29-05-19	2360
დროშების შესყიდვა	შპს გლობული ემ ბე	402446969	01/06/9	03-06-19	300
ბრენდირებული მაისირის, სუფრის და სტიკერის შესყიდვა	შპს ვესტა	202159788	02/06/9	05-06-19	455
ბეჭდვითი მომსახურება	შპს ვესტა	202159789	03/06/9	05-06-19	165
საწვავის შეძენა	შპს სოკარ ჯირჯია პეტროლიუმი	202352514	04/06/9	06-06-19	225
ძრავის ზეთის შესყიდვა	შპს ლაინ მედია	206242797	05/06/9	13-06-19	40
კონდიციონერების მონტაჟი დეონტაჟი	შპს ტექნოჰაუსი	205277608	06/06/9	17-06-19	980
გარე და შიდა აბრები	შპს დო არტ ჯგუფი	406165224	07/06/9	18-06-19	2950
გათბობის სისტემის ტექნიკური მომსახურება.	შპს მასტერი 1	416343718	08/06/9	28-06-19	1500
WWW გვერდის ჰოსტინგის შესყიდვა	შპს პროსერვისი	204929168	01/07/9	05-07-19	40.87
წყლის დისპანსერის შესყიდვა	შპს ნანოტეკი	404504791	02/07/9	19-07-19	560
ტრეინინგის შესყიდვა	ა(ა)იპ საქართველოს შრომის უსაფრთხოების და ჯამრთელობის დაცვის ასოციაცია	406190045	03/07/9	24-07-19	4980
სარეკლამო და მრკეტინგული მომსახურება	შპს არის ჯი	204552466	08/08/2019	08-08-19	1812.9
ლამინირების აპარატის შესყიდვა	ი/მ გიორგი კანდელაკი-ვესტა	01009005243	13/08/19	13-08-19	280

მეჩარხის პროგრამისთვის აღჭურვილობის შესყიდვა	შპს მაი მობაილი	205294705	33	14-08-19	239047.94
სარემონტო სამუშაოები	შპს ფენილი	205182158	34	23-08-19	70820
ანტივირუსის შესყიდვა	შპს ჰაი ტექ სოლუშენს	205268315	26/08/19	26-08-19	4950.6
მიმდინარე რემონტის ტექ ზედამხედველობა	შპს ,,მშენტექზედამხედველი -ნიკოლოზ ბოკუჩავა''	401944090	26/08.2019/1	26-08-19	1800
კატრიჯების დამუხტვა	შპს იზი გრუპი	405307047	09/09/19	09-09-19	1232
ხელსაწყოების შესყიდვა მეჩარხის პროგრამისთვის	შპს მაი მობაილი	205294705	35	12-09-19	8800
ურიკის და კონტეინერის შეძენა	შპს მაი მობაილი	205294705	12/09/19	12-09-19	3150
A4 ქაღალდის შესყიდვა	შპს პენსან ჯორჯია	404870760	20/09/19	20-09-19	3292.8
ერთჯერადი ჭურჭლის შეძენა	შპს ზრაპარი	205222953	20/09/19/1	20-09-19	150
ყავა,ჩაი,შაქარია შესყიდვა	შპს ზრაპარი	205222953	20/09/19/2	20-09-19	91.15
საკეტიანი ლითონის კარადის შესყიდვა მეჩარხის პროგრამისთვის	შპს ჯ.ლ.თ	406179228	23/09/19	23-09-19	940
მიკროტალღური ღუმელის შეძენა	ი/მ გიორგი ასპანიძე	2.2E+10	24/09/19	24-09-19	220
თერმო ჩაიდნის შეძენა	შპს JULY	202274859	24/09/19/1	24-09-19	178
დომენის მომსახურება	შპს პროსერვისი	204929168	05/10/19	05-10-19	12
საკანცელარიო ნივთების შეძენა	შპს კომპანია GEOSM	404873614	36	04-10-19	5242
განცხადების გამოქვეყნება	შპს ,,ჯობს გე''	205035282	21/10/20119	21-10-19	120
2 ერთეული პროექტორის შესყიდვა	შპს allmarkrt.ge	404431432	37	23-10-19	4600
15 ერთეული კარტრიჯის შესყიდვა	შპს ქართული ოფისი	405229480	38	29-10-19	1636.5
ფოტოაპარატის შესყიდვა	შპს allmarkrt.ge	404431432	31/10/19	31-10-19	1764

ბალახის სათიბის შესყიდვა	შპს დიჯიტალტექ	402088897	31/10/19/1	31-10-19	385
ელექტროქურის შესყიდვა	შპს გრანდ ელექტრონიქსი	202362530	31/10/19/2	31-10-19	149
ინვენტარიზაციის სასწავლო კურსი	სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია	206348987	3/10/19/2	31-10-19	525
ექსპერტიზა	სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზა		2001508719	04-11-19	1483.6
ერთი ერთეული პროექტორი მეჩარხის პროგრამისთვის	შპს allmarkrt.ge	404431432	39	11-11-19	1150
სამეურნეო საქონლის შესყიდვა	შპს GramPak Georgia	406036702	22/11/19/1	22.11.2019	1462.5
შესაწამლი აპარატის სახელმწიფო შესყიდვა	შპს გუდბილდ +	400240217	22/11/19	22.11.2019	60
ტრენინგის ორგანიზება, თემა "ვისაუბროთ ინგლისურად"	შპს ბრიტანულ-ქართული კულტურის ცენტრი ბისი	402041198	25.11.2019	25.11.2019	1780
ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი სახელმწიფო შესყიდვა	შპს რიგისერვისი	200221223	28/11/19	28.11.2019	800
ქსელური მოწყობილობების CPV:32400000 სახელმწიფო შესყიდვა	შპს პისიშოპ.ჯი	205198481	09/12/19/2	09.12.2019	379
12 ერთეული კონდენციონერის მისაფარებლის CPV44100000 სახელმწიფო შესყიდვა	შპს პრინტ სტუდია	404977316	09/12/19/4	09.12.2019	2700
ტრენინგის ორგანიზება, თემა "Excel-ის საბაზისო და სიღრმისეული კურსი"	ფ.პ. ანა მარგველაშვილი	01024044835	09.12.19.3	09.12.2019	900
ელექტრო გამათბობელის (CPV:39700000) სახელმწიფო შესყიდვა	შპს დიჯიტალტექ	402088897	10/12/19	10.12.2019	540

100 ერთეული სხვადასხვა ტექნიკური ტიპის წიგნების - CPV22100000 სახელმწიფო შესყიდვა	შპს პრინტ ფაბრიკა	402113930	18/12/19/1	18.12.2019	2000
2 ერთეული კონდენციონერის მისაფარებლის CPV44100000 სახელმწიფო შესყიდვა	შპს პრინტ სტუდია	404977316	19/12/19	19.12.2019	450
ერთი ერთეული დიქტოფონის შესყიდვა	შპს allmarkrt.ge	404431432	19/12/19/1	19.12.2019	180
დაცვის მომსახურება	შპს აბ სოლუშენ სექიურითი ჯორჯია	205021126	40	19.12.2019	32256
3000 ერთეული სარეკლამო ფლაერის დაბეჭდვა	შპს ირიდა ჯგუფი	415094882	20.12.19	20.12.2019	330
5 ერთეული კონდიციონერის შესყიდვა	შპს "ტექნოჰაუს"	205277608	41	23.12.2019	6015
ინტერნეტ მომსახურების შესყიდვა	შპს "მაგთიკომი"	204876606	09/12/2019	09.12.2019	4800
კოლეჯის აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით, სხვადასხვა ტიპის ხელსაწყოების შესყიდვა	შპს "მაი მობაილ +"	205294705	09/11/19/1	09.12.2019	7790
კოლეჯის აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით, სხვადასხვა ტიპის ხელსაწყოების შესყიდვა	შპს "მაი მობაილ +"	205294705	13/12/19	13.12.2019	9787
სხვადასხვა ტიპის ავეჯის - დასაჯდომების/სკამების შესყიდვა	შპს "ოთ-მა"	422717509	42	26.12.19	11953

დაფინანსება

მიერ დაფინანსებამ, 2019 წელს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან შეადგინა 522,900.00 ლარი, ხოლო სს „საქართველოს რკინიგზა“-ს მხრიდან 339,523.00 ლარი. საერთო ჯამში - 842,423.00 ლარი.

2019 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის გაფორმდა N1309 ხელშეკრულება და N1520195 და N1621312 შეთანხმებები, რომლის საგანს წარმოადგენდა - „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ კოლეჯის აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით ფინანსური ხელშეწყობა“, თანხაზე - 24,442.00 ლარის ოდენობით. აღნიშნული ხელშეკრულების ვადა განსაზღვრულია 2020 წლის 11 აპრილის ჩათვლით და მიმდინარეობს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სამუშაოები.

2019 წლის მესამე კვარტალში, კოლეჯში განხორციელდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვიზიტი 2018 წლის ფინანსურ ანგარიშთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები, სრულად იქნა გათვალისწინებული კოლეჯის მიერ.

2019 წლის დეტალურ ფინანსურ ანგარიშს წარმოგიდგენთ, დადგენილი წესის თანახმად, მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის

დირექტორი

მანანა მოისწრაფიშვილი